სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის იმპლემენტაციის პერსპექტივები ქონების დაზღვევაში

ლაშა ოქრუაშვილი

ხელმძღვანელი: დიმიტრი ძაგნიძე

მაგისტრატურა, მეორე კურსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

თბილისი, 2022

სარჩევი

შესავალი 4

1. სადაზღვევო ინტერესის არსი..... 7

1.1. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის შინაარსი..... 8

1.2. სადაზღვევო ინტერესის დაცვის ფუნქცია..... 14

1.3. სადაზღვევო ინტერესის გამიჯვნის ფუნქცია დაზღვევის, პირობით და ალეატორულ გარიგებებს შორის 17

1.4. სადაზღვევო ინტერესი და დაზღვევის ინტერესი..... 19

2. სადაზღვევო ინტერესის მიმართება სადაზღვევო ურთიერთობასთან 21

2.1. სადაზღვევო ინტერესი ხელშეკრულების დადების ეტაპზე 22

2.2. სადაზღვევო ინტერესის გავლენა პრემიის დაბრუნებაზე..... 27

2.3. სადაზღვევო ინტერესის გავლენა დაზღვევის ხელშეკრულების მოშლაზე 29

2.4. სადაზღვევო ინტერესის გაველენა სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნაზე..... 31

2.5. სადაზღვეო ინტერესი და ფრანშიზა..... 34

2.6. სადაზღვევო ინტერესი და სადაზღვევო შემთხვევა..... 37

კვლევის შედეგები 41

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა 43

აბსტრაქტი

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის იმპლემენტაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება, თუმცა, თავად დაზღვევის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზღვევის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის განსასაზღვრად, ასევე სადაზღვევო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის დადგენის თვალსაზრისით. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განმარტება, შესაბამისად, არ არსებობს რეგულაციები, რომელიც მოაწესრიგებდა აღნიშნულ ინსტიტუტს. არსებული ნორმატიული რეალობა ხელს უშლის სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც ქმნის სადაზღვევო ურთიერთობების არამიზნობრივი წარმართვის რისკებს.

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს სადაზღვევო ინტერესის არსს და მისი იმპლემენტაციის პერსპექტივას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ფარგლებში. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე და იკვლევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის შინაარსობრივ რეგულირებას.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, სადაზღვევო ინტერესი, დაზღვევის ინტერესი, ქონების დაზღვევა.